# იმღერე სიმღერა გაბედულებაზე

**წაიკითხე ფსალმუნის 27:6.** დავითს უყვარდა მუსიკა და ხშირად უმღეროდა იეჰოვას. ღვთის განმადიდებელი სიმღერები დავითს გაბედულებას ჰმატებდა. სიმღერები შენც დაგეხმარება, იყო გაბედული.

წაიკითხე 137-ე სიმღერის ტექსტი, რომლის სათაურია „მოგვეცი გამბედაობა“. როგორც ამ ტექსტიდან ჩანს, რა მიზეზები გვაქვს, ვიყოთ გაბედულები? ისწავლე სიმღერის ტექსტი და ოჯახის წევრებთან ერთად იმღერე.

გადაკეცე



სიმღერა 137

## „მოგვეცი გამბედაობა“

(საქმეები 4:29)

1. სამეფოზე რომ ვქადაგებთ
და ვაუწყებთ შენს სახელს,
ხალხი გვიპირისპირდება,
ცდილობს რომ დაგვამციროს.
არ შევუშინდებით მათ,
შენ დაგემორჩილებით ჩვენ.
მოგვაშველე გთხოვთ, შენი სული,
ო, იეჰოვა, გვისმინე.

(მისამღერი)

მოგვეცი გამბედაობა,
დაგვაძლევინე შიში.
მოგვეც რწმენა, სიმამაცე,
და ეს ყველამ გაიგოს.
არმაგედონი ახლოა,
მაგრამ სანამ ეს დღე მოვა,
მოგვეცი გამბედაობა,
ლოცვით გთხოვთ შენ.

2. შესაძლოა შიშმა გვძლიოს,
რადგან მიწის მტვერი ვართ.
დახმარება შენ აღგვითქვი,
და ჩვენ ამის მტკიცედ გვწამს.
ღმერთო, გვემუქრებიან,
გვავიწროებენ, გვლანძღავენ.
მამა, დაგვეხმარე ყოველთვის
შენი სახელი ვაუწყოთ.

(მისამღერი)



www.jw.org © 2016 Watch Tower Bible and Tract Society of Pennsylvania